№ 19759
05.12.17

საქართველოს პარლამენტის ბიუროს

ა ნ გ ა რ ი შ ი

გაცნობებთ, რომ 2017 წლის 01 დეკემბრიდან 04 დეკემბრამდე პარლამენტის ფრაქცია „ქართული ოცნება - მწვანეები“-ს აპარატის თანამშრომლებთან ერთად გასვლითი შეხვედრების ჩასატარებლად ვიმყოფებოდი მივლინებაში ბორჯომის მუნიციპალიტეტში.

შეხვედრის მიზანი იყო 2017 წლის ფრაქციის აპარატის მუშაობის შეჯამება და 2018 წლის მუშაობის დაგეგმვა. ასევე 2017 წელს ბორჯომის ტყეებში მომხდარი ხანძრის ადგილების დათვალიერება.

შეხვედრაზე განვიხილეთ აპატარის თანამშრომლების 2017 წლის საორგანიზაციო საკითხები, საზოგადოებასთან ურთიერთობის შესახებ მასალები, შიდა მიმოწერისა და დოკუმენტაციის წარმოების დეტალები, შევაჯამეთ განვლილი წლის მუშაობა.

დაიგეგმა 2018 წლის სამუშაოს განაწილების გრაფიკი, ხაზი გაესვა დოკუმენტებთან მუშობის უნარების გაუმჯობესებას, შემუშავდა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მუშაობის გეგმა.

დიდი დრო დაეთმო საქართველოს მთავრობაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებების განხილვას.

მოხდა გასვლა ბორჯომის ტერიტორიაზე 2017 წელს მომხდარი ხანძრების შედეგების მოსანახულებლად.

ფრაქციის თავმჯდომარე

გიორგი გაჩეჩილაძე

4600, ქ. ქუთაისი, ი.აბაშიძის გამზ. №26 საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679, ელ.ფოსტა: contact@parliament.ge